ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, აგვისტოს 22 1919. ფასი 1 მ. 50 კ. № 155

წელიწადი მესამე.

Библиотека

# ჩვენი ქვეყანა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

კვირას, 24 აგვისტოს პეტრე პავლეს ეკლესიაში, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის პორუჩიკის

**ვასილ ვარლამის ძის ბახტაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: ცოლი და ეკატერინა ფირანის ასული, ქალიშვილი მერი. დედა მარიამ ნიკოლოზის ასული, მამა ვარლამ მარკოზის ძე და ცუცა შერაშიძისა ძმა გრიგოლ ვარლამის ძე ბახტაძე. 1—1

---

კვირას, 24 აგვისტოს საფიჩხიის სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**ევგენი ანტონის ძე კანდელაკის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ. მეგობართ და ნაცნობთ: ქვრივი ეკატერინე პეტრეს ასული, ვაჟი ვლადიმერი, დაი იუდითი დუდუჩავასი, ძმები: ეპიფანე, ილია, მღ. ბენიამენი და ვალერიანე ანტონის ძენი ოჯახობითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი 12-ზე. 2 1

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა ანასტასია, ძმები: დათიკო რომანი და კოლია, რძლები: ნინა და ელენა, დეიდები: ოლღა კატო და მარგარიტა, ბიძეები ნიკიფორე მიშა აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

1793

**ბაზილინა მეთოდეს ასული კუპრავა**

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 22 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე. ბალახვანის ქუჩა. აფრიდონიძის სახლი. 1—1

---

ნადეჟდა ივანეს ასული ბუზოღლისა და მიხეილ ვართანის ძე ბუზოღლი შვილებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ, რომ კვირას 24 აგვისტოს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**ივანე ნიკოლოზის ძის ვასილიევის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე გოჭოურის ეკლესიაზე. 1—1

---

## საქართველოს რესპუბლიკის

### სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

პირველ სექტემბრიდან თბილისში იხსნება სამხედრო სასწავლებელი განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსან ჯარისა და საინჟინერო. სასწავლებელში მიღებულ იქნებიან ახალგაზდანი წლოვანებით 17—25 წლ.

მსურველთ თხოვნა სამხედრო სასწავლებლის უფროსის სახელობაზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები: 1. მოწმობა ჯარის კაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ, 2. ატესტატი საშუალო სასწავლებლის სწავლის გათავებისა, 3. მოწმობა იმის შესახებ, რომ არ ყოფილა მიცემული სამართალში, 4. მეტრიკული მოწმობა და 5. ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება--ქართული ენის ცოდნა აუცილებელია.

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

კვირას, 24 მარიამობისთვეს დილის 12 საათზე ყოფილ მიმწოდებელ კომიტეტის საწყობში (ქავჭავაძის ქუჩა, ციხის პირდაპირ) დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა.**

**გასვრილ-დასოლებულ შაქარზე. და ფეხსაცმელების საძირე ტყავის ნაკუწებზე.** გაჭრობაზე მსურველმა ფასები უნდა წარუდგინოს დახურულ კონვერტებში იქვე, კვირას დილის 11 საათამდე.

საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველდღე 9—11 საათამდე.

**დასავლეთ საქართველოს ერობათა კავშირის პრეზიდიუმი.** 3—2

---

**დაჰკარგე** პასპორტი № 172 მიღებული ახალ-სენაკის მილიციის უფროსის მიერ, მეტრიკა და სამხედრო უფროსის მოცემული ბილეთი. კონსტანტინე ბეჟანის ძე ყურაშვილი.

---

## „ხალხი ჩვენთან არის"

ეს ოცდაათი წელიწადია, სოციალდემოკრატიის დემაგოგები იძახიან: „ხალხი ჩვენთან არის".

ჩვენ დავამხვეთ რუსეთის თვითმპყრობელობა, მისი საშინელი მილიტარიზმი და ბიუროკრატია.

ჩვენ ჩამოვართვით თავადებს მიწები;

ჩვენ შევქმენით ახალი მთავრობა;

ჩვენ აღვადგინეთ საქართველოს დამოუკიდებლობა და სხ.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს—გადაჭარბებულია.

რუსეთის თვითმპყრობელობა დემოკრატიულმა ჯარმა დაამხო; მაშასადამე ხალხმა;

საქართველოს დამოუკიდებლობა საქართველოს ჯარმა, ე. ი. ხალხმა, ერმა, შექმნა.

რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, იგიც ხომ ხალხმა შექმნა.

რაც შეეხება მიწების ჩამორთმევას, ას უმამულო მიწის მუშაში ოთხმოცდაცხრამეტმა ერთი ხელისდადება მიწაც კი ვერ მიიღო.

სოციალდემოკრატებს დაავიწყდათ, რომ ჩვენში დასარიგებელი მიწა ცოტაა.

განმეორდა ის, რაც ძველ რომში ოქტავიანისა და ანტონის დროს. ჯარისკაცებს შეპირდენ, მიწებს დაგირიგებთო, აუარებელი მდიდარი მოქალაქე დახოცეს, აუარებელი საშუალი მიწის მოქმედი აყარეს, სამოქალაქო მშვიდობა შეარყიეს, სისხლის ღვრები დააყენეს, რომი გადმოხვეწილებით აავსეს და შიმშილის სხვერპლად გახადეს!

ამის შედეგი კი მხოლოდ ის იყო, რომ ცეზარის ხუთიათასმა ჯარისკაცმა მიიღო მიწა!

მაშ ჩვენი სოციალ-დემოკრატია ისტორიას არ დაეკითხა, თვარა გაიგებდა, რომ მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში დასარიგებელი მიწა არ არის.

სოც.-დემოკრატიას ავიწყდება იმავე დროს მეორე ისტორიული ფაქტი: ყოველი მთავრობა რესპუბლიკურია, მონარქიული თუ დესპოტიური, ხალხის მიერ შექმნილია.

იმ მთავრობაზე უარესი რაღა იქნება, ანტონიმ და ოქტავიანმა რომ შექმნეს (მეორმოცე წლებში ქრ. შობამდის)?! მაგრამ ისიც დემოკრატიის მიერ იყო შექმნილი, ვინაიდან მაშინ ჯარი წარმოადგენდა ხალხს, დემოკრატიას.

მაგრამ ხალხის გუნება და მიმართულება წინადაც ხომ ცვალებადი იყო, დღეს კი საოცარი სისწრაფით იცვლება.

ახალი მდგომარეობის შეგნება ძველად უფრო ძნელი იყო, ვიდრე დღეს, რკინის გზებისა და აეროპლანების, უმავთულო ტელეგრაფებისა, ტელეფონების, გაზეთებისა და განვითარებული აღებ-მიცემობის ხანაში.

და, იქნება სოციალ-დემოკრატები ვერც კი ხედვენ, ხალხის გუნება და სულისკვეთება რომ შეიცვალა.

მაშ ურჩევნიათ; თავს ნუ მოიტყუებენ და ხალხში დაბადებულს ახალ მიმართულებას ანგარიში გაუწიონ.

ვასილ წერეთელი.

---

## ინგლისი და სპარსეთი.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ რადგანაც კლემანსო ვანდეაში წავიდა, ვილსონი ვაშინგტონში და ლოიდ ჯორჯი—ლონდონში ძნელია სპარსეთზე ინგლისის პროტექტორატის დაწესების საკითხში გარკვევა. ამ საგანზე ეხლა მოლაპარაკება სწარმოებს. უკვე 4 დღეა იმის ნიშნები იყო, რომ ინგლისსა და სპარსეთის შორის შეთანხმება მოხდა როდესაც გამოირკვა, რომ შახს სურს შვეიცარია ინახულოს. ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულება დაწვრილებით პარასკევს გამოქვეყნდა ლონდონში და სრულიად მოულოდნელი იყო ფრანგებისთვის, რომელნიც ინგლისელთა განმარტების თანახმად აღიარებენ, რომ ეს ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია სპარსეთის დასახმარებლად. აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში სპარსეთის ხელშეუხებლობასა და დამოუკიდებლობის შესახებ იგივეა ნათქვამი, რაც 1907 წ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისმა სპარსეთზე თავისი პროტექტორატი დაამყარა. ფრანგებს სურთ ვილსონის აზრი გაიგონ ამ საკითხის შესახებ.

---

## უნგრეთის მთავრობის დაშლა.

ბუდაპეშტიდან მოსული ცნობით ახალი მთავრობა დაიშალა. მიზეზი ის არის, რომ სოც. დემოკრატები არ შევიდნენ; რაც იმით ახსნეს, რომ მათ საკმაო გარანტიები არა აქვთ. რაც იმის შედეგია, რომ მთავრობა სდევნის ყველას, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონია საბჭოთა მთავრობასთან. დააპატიმრეს მრავალი. მათ შორის არიან ქალები და ბავშვებიც, რომელნიც აგიტაციაში იღებდენ მონაწილეობას. ბუდაპეშტში პროკურორმა განაცხადა, რომ დააპატიმრებენ ყველას, ვინც გამოსვლებს აწყობდა საბჭოთა მთავრობის დროს.

---

## შეთქმულება იტალიაში.

რომის გაზეთები იუწყებიან, რომ პოლიციას აღმოუჩენია ერთი ჯგუფის მიერ მოწყობილი შეთქმულება, რომელთა მო- [illegible] უმთავრესად ანარქისტები ყოფილან. აჯანყებულებს მიზნად ჰქონიათ ესარგებლათ სიძვირით დაეჭირათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიური პუნქტები რომის გარშემო. შეთქმულების მომწყობნი შეეცადნენ აეჯანყებიათ პიეტრალტის სიმაგრეზე მდგომი იტალიური ბათალიონი. მაგრამ ჯარისკაცებმა უარი უთხრეს მონაწილეობის მიღებაზე და სრულად აუტეხეს.

დაპატიმრებულია თექვსმეტი მოაბოხე.

---

## პოლკ. ჰასკელი საქართველოს მთავრობასთან.

კვირას, 19 მარიამობისთვეს, პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში პოლკოვ. ჰასკელი სადარბაზოთ იყო საქართველოს მთავრობასთან და დიდხანს ესაუბრა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ბატ. ე. გეგეჭკორს.

პოლკ. ჰასკელი, გუშინ 20 მარიამობისთვეს ნაშუადღევის 12 საათზედ, რამოდენიმე დღით ერევანში გაემგზავრა.

როგორც უკვე სავსებით გამოირკვა, პოლკოვნიკი ჰასკელი თბილისში იცხოვრებს, სადაც საქართველოს მთავრობამ უკვე მოამზადა მისთვის განსაკუთრებული ბინა.

---

## „საქართველოს მწერალთა დღეობა".

საქართველოს მწერალთა კავშირის საღამო, რომელიც 24 მარიამობისთვისათვის არის განზრახული ახალ კლუბის შენობაში, თანდათან უფრო გრანდიოზულ სახეს იღებს. მწერალთა კავშირს ცნობები მოსდის, რომ მრავალი ქართველი მწერლები, რომელნიც ამჟამად თბილისში არ იმყოფება, საღამოში მონაწილეობისთვის ჩამოსვლას აპირებენ.

— მწერალთა კავშირმა, თანხმობა მიიღო თფილისში მყოფ ინგლისელ, იტალიელ, ფრანგ, ბერძენ და რუს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლთაგან, რომ მონაწილეობას მიიღებენ სალამოში.

— სალამოს გამოვა ერთად ერთი ცალი კრებულისა, რომელშიც მოთავსებული იქნება მრავალი ცნობილ მწერლის და პოეტის ხელთანაწერი.

ამ მიზნით სრულიათ საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო სთხოვს ყველა ქართველ მწერლებს გამოგზავნოს მასალები/არა უმეტესი ოცი· სტრიქონისა, ამ კრებულისათვის, რომელიც მხოლოდ ერთ ეკზემპლიარათ გამოვა. მასალები უნდა მიღებულ იქმნას თფილისში არა უგვიანეს შაბათს 23 აგვისტოს 11 საათისა. მასალა უნდა იყოს დაწერილი თეთრ —სადა ხალალდზე ჩვეულებრივი ფურცლის მეოთხედზე. მისამართი თფილისი საადგილო— მამულო ბანკი კოტე მაყაშვილს.

— ამავე სალამოზედ გამოვა ერთი ცალი ქართული მოდათა ჟურნალი მოდების ესკიზები აღებულია ძველ ქართველ ტანთსაცმელებიდან თანამედროვე მოდებთან შეფარდებით. მოდელები შესრულებულ იქნება მხატვრების. ი. ნიკოლაძის ლადო გუდიაშვილის, სერგეი სუდეიკინის, კირილ ზდანევიჩის და ა. პეტროკოვსკის მიერ.

— სალამოზედ მოწყობილი იქება პირველად მომგებიანი ფულების ლატარია გაცემულია სამი ათასი ბილეთი ერთი თუმნის ღირებულების, რომელთა შორის იქნება 13 მომგებიანი ნომერი. უდიდესი მოგება 1500 მანეთი—180 მან.

## უკანასკნელი ცნობები

### ინგლისელების წასვლა ამიერ-კავკასიიდან

გაზ. „ადერბაიჯანის" ცნობით, სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ თანახმად ლონდონიდან მიღებულ მოწერილობა შიინგლისის ჯარმა 6-5 დღის განმავლობაში უნდა დასტოვოს მთელი ამიერ კავკასია.

### მორიგი პროვოკაცია.

ბაქოს გაზეთ „ტელეგრაფში" ყოფილა დაბეჭდილი ცნობა, თითქოს გენ. ბარათოვსა და საქართველოს მთავრობის შორის მიღწეულია შეთანხმება. გაზეთი „ადერბეიჯანი" უარყოფს ამ ცნობას.

### გენ. ქორის გამოთხოვება.

აგვისტოს 18-ს გენერალი კორი ინგლისში გამგზავრების წინ ეწვია გამოსათხოვრად ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს. გამოთხოვებას დაესწრნეს გარეშე, სამხედრო და გზათა საქმეების მინისტრები, გენერალმა კორის გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა ის სიამოვნება, რომელიც მიიღო მან ადერბეიჯანში გამეფებულ წესიერებისა რკინის გზებსა, ჯარში და სხვა ყველა დარგებში. სხვათაშორის სთქვა, რომ მას მაიქვს საუკეთესო მოგონებანიო.

საპასუხო სიტყვით მიჰმართა მას მთავრობის თავმჯდომარემ.

### ინგლისის შტაბის ლიკვიდაცია ბაქოში.

გაზ. „ადერბეიჯანი" იტყობინება: ლონდონიდან მიღებულია ბაქოს ინგლისის შტაბის სახელზე ბრძანება სასწრაფოდ მოახდინოს შტაბის საქმეების ლიკვიდაცია, ამის გამო რეიტერის სააგენტოს ცნობის მიღება „ადერბეიჯანის მიერ აგვისტოს 18-ს შეწყვეტილია.

## ახალი ამბავი

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ამანათების გაგზავნა საზღვარ გარედ.** ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის მიერ მიღებული განკარგულების თანახმად 20 აგვისტოდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა მიიღებს ინგლისში, საფრანგეთში, საბერძნეთში, რუმინიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაგზავნათ უბრალო და დაზღვეულ წერილებს და აგრეთვე პერიოდიულ გამოცემებს. ამანათები გაიგზავნება არსებული ნიხრის გადახდევინებით.

✦ **კრება.** 20 აგვისტოს შესდგა ქუთაისის მეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის და ავტონომიურ კომისიების შეერთებული კრება. კრებაზე გაირჩა მრავალი საკითხები.

✦ **„კაპელას" კონცერტი.** 19 აგვისტოს ქალაქის თეატრში და 20 აგვისტოს მუშათა კლუბ „ინტერნაციონალში" ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის „კაპელამ" გამართა კონცერტი. კონცერტი შინაარსიანი და ყოველი მხრით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ორივე კონცერტს დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

✦ **გაძარცვა.** კვირას, 17 აგვისტოს ტეხნიკ. ასტ. აბესაძეს, როცა იგი ტყიბულიდან ს. მუხურაში მიდიოდა გზაზე ყაჩაღები დახვდენ. წაართვეს 800 მანეთი ფულად.

✦ **„თვალსაჩინო გეომეტრია".** ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ქუთ. რეალური სასწავლებლის დირექტორის ივ. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი „თვალსაჩინო გეომეტრია" უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პირველი სამი კლასისათვის.

✦ **ე ა. კორძაიას ქალთა გიმნაზიაში** სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან, ვაკანსიები ყველა კლასებში არის.

✦ **ხამარხი კასისა.** 24 აგვისტოს საღამოს 4 საათზე კათოლიკების მოედანზე, მიხეილ მაჭავარიანის სახლში მოხდება სამარხი კასის წევრთა კრება.

✦ **ის. რამიშვილის გამოწვევა.** აფხაზეთიდან გამოწვეული იქნა ისიდორე რამიშვილი.

✦ **სასწავლებლების გახსნა.** მამავალ სამოსწავლო წლიდან ახალ-ციხე-ახალ ქალაქის მაზრებში გაიხსნება 300-მდე სასწავლებელი.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს.

## ქალაქის საბჭოს 20 აგვისტოს სხდომის შესახებ.

ამ სხდომის მსჯელობის უმთავრეს საგნად სასურსათო საკითხი გადიქცა. ახალი ნიხრის შემუშავება გადაწყდა.

მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ხმოსანმა ტრიფონ ჯაფარიძემ, ნიხრი საქმეს ვერ შველის და გაიაფების ერთად-ერთი საშუალება—თავისუფალი მეტოქეობაა. ნიხრის დაწესებამ ბაზარზე ის საქონელიც კი გააქრო, რომელიც წინეთ შემოდიოდა; სოფლიდან შემოსულ სურსათს ჩირჩები ქალაქს გარეთ ყიდულობენ; მეთვალყურენი ყურს არ უგდებენო და სხ. მაშ სასურსათო განყოფილებას თუ სიძვირესთან ბრძოლა სწადია, ან თვითონ უნდა შემოიტანოს სურსათი ან სხვას უნდა შემოატანიოსო.

სასურსათო განყოფილების გამგემ სთქვა; ფული არავინ გვასესხა; როცა მოტანილი პურის დახსნისთვის ვაჰრებს სესხი ვსთხოვეთ, გვითხრეს: ჩვენ მოგვყიდეთ და ჩვენვე გავყიდითო.

მთავრობამ დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ოთხი მილიონის კრედიტი გაგვიხსნა, მაგრამ ფული არ გამოგვიგზავნა, ამიტომ პური ვერ შევიძინეთ.

წელს სიმინდის მოსავლი სამეგრელოაფხაზეთში არ იქნება და შიმშილობაა მოსალოდნელი.

მაშასადამე სურსათის შემოტანის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო და სხ.

ერთი რამეა შესაშინებელი,-ვაი თუ სასურსათო განყოფილებამ, ამ ბიუროკრატიულმა დაწესებულებამ, მილიონები წააგოს და შემდეგ თავისი ზარალის ასადგენად სიმინდზე მაღალი ნიხრი დააწესოს და აღარც სხვას გააყიდვინოს უფრო იაფად?

იქნება სჯობდეს, ერთი მხრით, სურსათის შემოტანის საქმე საგანგებო სავაჭრო ორგანიზაციას მიენდოს და, მეორე მხრით, მტკიცე ფასების დადებით მეტოქეობა არ შემცირდეს, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება არ იქნეს აკრძალული!

საბჭომ მიიღო დადგენილება, სასურსათო განყოფილებამ მოკლე ხანში თავისი მუშაობის პლანი წარმოადგინოს.

იმედია, ფრაქციები ამ საქმეს სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან და დროზე მიიღებენ სათადარიგო ღონისძიებას მოსალოდნელი შიმშილობის წინაღმდეგ.

**კვერი.**

## ადმინისტრაციისათვის.

სოციალისტური დოქტრინით და მარქსისტური თეზისებით შექმნილი ადმინისტრაცია ჩვენში მეტის მეტად მოუწყობელი და სუსტი გამოდგა. პოლიციის მილიციით შეცვლით, შეიცვალა ამ ინსტიტუტის შეხედულება და მოქმედება ბოროტ პირებზე ზოგიერთ შემთხვევებში შეიცვალა შეხედულება და მოქმედება მშვიდობიან ცხოვრებლებზედაც რამდენათ ამ ინსტიტუტს ემჩნევა სისუსტე და უმოქმედება ავაზაკ ყაჩაღ პირებზე, იმდენათ სიმკაცრე და დაუნდობლობა მშვიდობიან მცხოვრებზე. რამდენათ ეშინიათ პირველების იმდენათ გულადები არიან მეორეებთან.

უმაღლესი ადმინისტრაციის მოვალეობა მარტო იმაში კი არ არის რომ გოლოვინის პროსპექტებზე უშიშრათ -გადი გამოდიოდეს ადამიანი, არამედ იმაშიდაც გამოიხატება რომ მიხედონ თბილისის პერიფერიებს სოფლებს, და თუმც საქართველოს მთავრობის ინსტიტუციიდან და ერობების მოქმედებიდან ეს არ სჩანს, მაგრამ ადმინისტრაციის ხელით მაინც უზრუნველ ჰყოს ადამიანის წესიერათ გავლა და მშვიდობიანათ მოგზაურობა დაბებში და სოფლებში.

ჩვენისთანა მოშლილი ადმინისტრაცია დღეს არ ყავს არც·ერთ ძველი რუსეთის ავტონომიურ ქვეყნებს.

რაც დღეს ხდება ყაჩაღების მხრივ საქართველოს სოფლებში და დაბებში ამას ვერ გაბედავს ვერც ერთი ზელიმხანი უფლებრივ სახელმწიფოში.

ხვდებიან და ცარცვავენ ხალხს - გზა შარებზე და მილიციიდან ნახევარი საათის სასიარულოზე. სამი ოთხი საათი ყავსთ ყაჩალებს მგზავრები გაჩერებული ჩხრეკენ და სცარცვავენ.

ჩვენ თავი გავანებოთ იმას, რომ ამ დროს მილიცია არსად სჩანს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ შემდეგაც არ ჩხრეკენ იმ ადგილებს სადაც, ხალხი თავის ოფლით და წესიერი გზით შეძენილ ქონებას შიშის ქვეშ აბარებს იმ ავაზაკს, რომელიც კვირაობით და თვეობით სცხოვრობს ერთ ადგილას და არავითარი ადმინისტრაციის არ ეშინიათ.

ღარიბი გლეხი, რომელიც მინდვრის ბალახეულობით იკვებება და დაბებში მიაქვთ რამოდენიმე გირვანქა ყველი და რამოდენიმე ათეული კვერცხი გასასყიდათ რომ მითი შემოსოს შიშველ-ტიტველი ცოლშვილი, აღებულ ფულს ტყეში და შარაგზებზე ყაჩალებს უტოვებს. ეს ხდება იმ დროს როცა ადმინისტრაცია (პარტიული მანდატით შექმნილი მილიცია) ან რესტორანებში ქეიფობს და ან მშვიდობიან უდანაშაულო გლეხს ამათრახებს.

ორი წლის სოციალ-დემოკრატიული ადმინისტრაციის ბატონობის დროს, რომ ხალხი საბოლოოთ იცარცვებოდა კეთილ შენაძენ ქონებას, რომ ავაზაკებს აბარებდა, და მილიცია დაუდევრობით ხელს, რომ აუწყობდა და უწყობს ეს არავისათვის საიდუმლოებას აღარ შეადგენს,

დღეს რაც ხდება საქართველოს რესპუბლიკაში ხომ ხალხმაც იცის, და როცა სოციალ-დემოკრატია ერთ დროს ტრაბახს დაიწყებს თავიანთი ადმინისტრატიულ უნარზე, ჩვენ ვეტყვით მდაბიო ხალხს „იყავით მოწმენი რაც ხდებოდა".

**ბიკ. მუხურელი.**

## დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

### ინგლისური პრესის ცნობები.

როგორც ამბობენ; ვენიზელოსმა ვილსონს კონტრ წინადადებები წარუდგინა. ის წინანდებურათ მოითხოვს, რომ ფრაკია საბერძნეთს გადაეცეს, მაგრამ ამასთანავე წინადადებას იძლევა, დედეაგაჩი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდეს და დედეაგაჩიდან ბულგარეთში მიმავალ რკინის გზა—საერთაშორისოდ. ვენიზელოსი საზავო კონფერენციაზე კარგ დიპლომატად ითვლება, რასაც მოწმობს მისი უკანასკნელი პროექტი, რომელიც სავსებით ეთანხმება ვილსონის უკვე დაკანონებულ გეგმას დანციგის და პოლონეთის შესახებ.

ხუთთა საბჭოს შეკითხვაზე დროებითი ზავის პირობების შესახებ რუმინელებმა განაცხადეს, რომ დროებითი ზავის ხელშეკრულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უნგრელებმა მისი პირობები არ შეასრულეს.

რუმინელებს იმედი აქვთ, რომ თავის ორთქლმავლებს და ვაგონებს უკან მიიღებენ და რადგანაც თავის მინდვრების სამი მეოთხედი დათესილი აქვთ, 50,000 ვაგონს სურსათ-სანოვაგის გაზიდვას შესძლებენ, რითაც ამნაირად თავის მდგომარეობას. გაუმჯობესებენ. მათ სურთ აგრეთვე დაიბრუნონ გატაცებული ოთხ ფეხი საქონელი, მაგრამ აცხადებენ, რომ მათ განზრახვა არა აქვთ დაიტოვონ უნგრეთიდან წამოღებული სამხედრო მასალა და საზავო კონფერენციის განაჩენით დაუყოვნებლივ გადასცემენ მთელ არტილერიას, ტყვიისმფრქვევლებს და სხვა სამხედრო მასალას.

### იტალიური პრესის ცნობები.

ლისაბონში რკინის გზის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სად. სანტო აპოლონიაში ყუმბარები ისროლეს. 5 გაფიცული დააპატიმრეს. მათ აღმოაჩნდათ ლისაბონის სწრაფი მატარებლის ლიანდაგიდან გადაგდების გეგმა.

მართლდება ცნობები ლიუქსემბურგის საჰერცოგოს სატახტო ქალაქში მომხდარ ამბების შესახებ. ბრბო შეიჭრა დეპუტატთა პალატაში, სადაც რამდენიმეჯერ გაისროლეს.

### ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ შეადგინა რუმინელების ნოტის პასუხი. რუმინიის ჯარის მთავარსარდლობას ებრძანა. მოკავშირეთა ინსტრუქციების თანახმათ იმოქმედოს. უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა რუმინიას გაუგზავნოს პასუხი, რომელშიაც ურჩევს თავისი მოქმედება ბუდაპეშტში მყოფ მოკავშირეთა კომისიის მოქმედებას შეუთანხმოს.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ბულგარეთის ხელშეკრულების ეკონომიური პირობები.

ბუქარესტიდან დეპეშა მოვიდა, რომ მთავარსარდალი შემდეგს იუწყება: რუსეთის მმართველები წინადადებას იძლევიან, რომ დაგვითმობენ სამხედრო მასალას, ზარბაზნებს, ტყვიისმფრქვეველებს და სხ. მთავარსარდალი ინსტრუქციებს თხოულობს როგორ მოიქცეს.

## კორესპონდენცია.

**საწირის საზოგადოება.** —ჩვენშიც ამ თვეს შემთხვევით [illegible] საზოგადოების ყრილობას! ხალხი იყო მოწოდებული სახელმწიფო გადასახადის შესახებ; რადგან კომისსარი, რაიონის კომისსართან ერთად თავის მილიციონერებით ტყიბულის უზარ-მაზარ ტყეებში მოტაცებულ ებრაელს დაეძებდე, კრებას არ დასწრებია; ხალხი სასოფლო სასამართლოში ბლომად გროვდა პირველ საათზედ სოფლის სასამართლოს მწერალმა ვ. ყიფიანმა ხალხს აუხსნა, რასაგანზედ იყო ხალხი მოწოდებული. მთავრობის ბრძანებით. —საწირის საზოგადოებას შემოწერილი აქვს შემდეგი გადასახადი:

1, სოფელს საწირეს 25,720 მ. 38 კ.
2, ტყიბულს—55,129 მ. 73 კ.
3, ახალსოფელს 27,914 მ. 54 კ.
4, ძიროვანს 22,096 მ. 74 კ.
5. დაბაძველს 47,683, 7312.
6, ივანეულს 6,569 მ. 55 კ.
8. ახალდაბას 13,—966 მ. 19 კ.
8, ძუყნურს—36,944 მ. 42 კ.
9, ბუეთს 5,359 მ. 37 კ.
10, ხრესილს, 8,497 მ. 20 კ.

საზოგადოებამ ასეთი გადასახადი იუცხოვა მაგრამ ხალხს, მიეგება ბ. გაბილაია და აუხსნა საქმის გარემოება! მათ დაუსაბუთა შემდეგი; თუ თქვენთვის ·ესეთი გადასახადები დიდია, თქვენ მიმართეთ მთავრობას, და გააგებიეთ საქმის გარემოება; იმ შემთხვევაშიდ იქნება თქვენი თხოვნა შეწყნარებული და გადასახადები შეძლებისაკვალად გაწერილიო!

**მეთოდი ქათამაძე.**

— —

**ლეჩხუმის მაზრა. (ერობის საყურადღებოთ)** შემთხვევამ მომცა დამევლო. ლეჩხუმის მაზრის ცაგერის უბნის ყველა საზოგადოების სოფლები. ვხედავ ყველგან ერთნაირ სურათს: უგზოობა, შავი სახადი, სკოლები ფანჯრებ და კარებ ჩამტვრეული, ზოგან კედლებ გამონგრეული. ოყურეშის საზოგადოება ერთ-ერთ თვალსაჩინო საზოგადოებათ ჩაითვლება მაზრაში. მაგრამ აქვე უნდა აღვინიშნო სამწუხაროდ, რომ რამდენადაც ბუნებას დაუჯილდოებია ეს საზოგადოება, იმდენად იგი დაუსჯია ლეჩხუმის მაზრის ერობას: საქმე შემდეგშია: აქ ისე, როგორც სხვაგან მძვინვარებს ამ დროში ყველასათვის ცნობილი შავი „სახადი" რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებლებს. ერობასაც ვითომ მიუქცევია ამისთვის ყურადღება და დაუნიშნავს აქ ერთი ფერშალი, ადგილობრივი მცხოვრები ვინმე მამარდაშვილი. კაცი **სრულიად მოუმზადებელი** ამ საქმისთვის. სოფლელები ამბობენ: „ეს ჩვენ სოფელს არ გასცილებია, სულ აქ ცხოვრობდა, ჩვენი სოფლის სკოლა გაათავა და რანაირი ფერშლობა შეიძლება ამან გაგვიწიოსო, თუ იმისთვის მისცეს ფერშლობა, რომ „ბოლშევიკობის" დროს, წასრულ წელში, სხვათა შორის ისიც გულმოდგინეთ „მოღვაწეობდა" ლეჩხუმში, (გაჰყვა საშა გეგეჭკორის რაზმს ჩრდილო კავკასიაში, საიდანაც ის დატყვევებული დარიალის ხეობაში, თითქმის ერთ წელიწადს ციხეში იჯდა) მაშ ჩვენ რას გვერჩოდენ ზარბაზნები დაგვიშინესო. როგორც მეც თვითონ დავრწმუნდი, მართლაც ამ ახალ მოდის „ფერშალს" სრულიად უბრალო ელემენტარული წარმოდგენაც არ აქვს არც ექიმობაზე, არც წამლებზე. მე ძალიან გამიკვირდა ასეთი კაცი რათ დანიშნეს ასეთს საპასუხისმგებლო საქმეში.

მე მგონია ერობის გამგეობა იურიდიულად და ზნეობრივადაც ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და, რადგან მას სურს წვლილის გაღება და ავათმყოფთა დასახმარებლათ კაცს ნიშნავს (რაც აუცილებელი საჭიროა) უნდა უსათუოთ, რამდენათაც კი შეიძლება, მცოდნე ვინმე დანიშნას ადგილზე.

**ძურგუ**

ქუთაისი, სტამბა „ძმობა", პუშკინი სქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.